



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გრილპარცერი



ფ. გრილპარცერი

გრილპარცერი, (Grillparzer) ფრანც (15. I. 1791, ვენა, – 21. I. 1872, იქვე), ავსტრიელი მწერალი. ვენის მეცნ. აკად. წევრი 1847-იდან. ვენისა და ლაიფციგის უნიტების საპატიო დოქტორი (1859), ვენის საპატიო მოქალაქე (1864). ვენის მეცნ. აკადემიამ 1875 დაარსა გ-ის სახ. პრემია; 1890 შეიქმნა „გრილპარცერის საზოგადოება“. გ-ის მსოფლიოში გახმაურებული ტრაგედიებიდან ჩვენთვის საყურადღებოა „ოქროს საწმისი“ (1818–21), რ-იც შედგება 3 ნაწილისაგან: „კეთილი სტუმარი“, „არგონავტები“ და „მედეა“. პიესა დაწერილია თავისუფალი ლექსით. ტრილოგიაში მწერალმა წინ წამოსწია თქმულებები არგონავტებზე, მითები და ლეგენდები ოქროს საწმისზე, ისტ.- მითოლ. ამბები კოლხეთის შესახებ. პიესა მრავალჯერ დაიდგა სხვადასხვა ქვეყნის თეატრების სცენაზე. მისი პრემიერა შედგა ვენაში 1821 (25. III) და ავტორს დიდი პოპულარობა მოუტანა. XX ს. 20-იანი წლებიდან ეს პიესა ხშირად იდგმებოდა გერმანულენოვანი ქვეყნების თეატრებში.

თხზ.: საბრალო მუსიკოსი, თბ., 1983; ოქროს საწმისი, თბ., 1987.